



სახელმწიფო შესყიდვების  
სააგენტოს თავმჯდომარის  
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080190311118619

№ 2961

09 / ივლისი / 2019 წ.

**შპს „არტგრუპის“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ**

**შემსყიდველი ორგანიზაცია:** სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური“;

**ტენდერის ნომერი:** NAT180008000;

**შესყიდვის ობიექტი:** 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

**მიმწოდებელი:** შპს „არტგრუპი“ (ს/ნ: 444959181);

**წერილობითი შეტყობინების საფუძველი:** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

**აღწერილობითი ნაწილი**

**1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება**

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 26 ივნისს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის“ 2019 წლის 26 ივნისის №MIA01901662343 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №6904), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „არტგრუპის“ (ს/ნ: 444959181) მიერ NAT180008000 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2018 წლის 9 ივლისის № ს/21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „არტგრუპს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის [murvanidzekaxa@gmail.com](mailto:murvanidzekaxa@gmail.com) მეშვეობით, 2019 წლის 27 ივნისის № 2450 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

**2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია**

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელს, 2018 წლის 9 ივლისის №ს/21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით, უნდა შეესრულებინა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის“ პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 322 426,08 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 9 ნოემბერი. მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, არ აღმოფხვრა საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩენილი ხარვეზები.

**3. მიმწოდებლის პოზიცია**

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტება არ წარმოუდგენია.

#### 4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

- 4.1. 2018 წლის 23 მაისს სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა“ გამოაცხადა NAT180008000 ელექტრონული ტენდერი შენობის რეკონსტრუქციის (CPV45454000) შესყიდვის მიზნით.
- 4.2. სატენდერო კომისიის 2018 წლის 25 ივნისის № 3 სხდომის ოქმით შპს „არტგრუპი“ (ს/ნ: 444959181) გამოვლინდა გამარჯვებულად და მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.
- 4.3. 2018 წლის 9 ივლისს მხარეთა შორის გაფორმდა № ს/21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში (2018 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით), უნდა შეესრულებინა სსიპ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის“ პოლიკლინიკის სარემონტო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 293 132,23 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2018 წლის 9 ნოემბერი.
- 4.4. № ს/21 ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, გამოყენებულ მასალებზე, დანადგარებსა და აგრეგატებზე ვრცელდებოდა 2-წლიანი საგარანტიო პერიოდი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.
- 4.5. მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 24 აგვისტოს №1 და 8 ოქტომბრის №2 ურთიერთშეთანხმების ოქმებით, სამუშაოების შესრულების ვადა, საბოლოოდ, გაიზარდა 2018 წლის 22 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების ღირებულება – 322 426,08 ლარამდე.
- 4.6. მიმწოდებელმა შეასრულა 320 888,47 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები (სრული მოცულობის 100%), რაც დასტურდება მხარეთა შორის გაფორმებული 2018 წლის 28 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტით.
- 4.7. 2019 წლის 21 იანვრის №MIA01900148859 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ ახალგარემონტებულ დარბაზში დეფექტები აღმოაჩინდა სადარბაზოში დაგებულ ვინილს. გარდა ამისა, მწყობრიდან გამოვიდა ერთ-ერთი საპირფარეშოს უნიტაზის ავზი, ხოლო მესამე სართულზე არსებული ერთ-ერთი ოთახის კარის ჩარჩო მოირყა. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა ხარვეზების აღმოფხვრა.
- 4.8. 2019 წლის 19 ივნისის №MIA51901591923 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ სახურავიდან წვიმის დროს წყალი ჩავიდა № 302, № 401 და № 407 კაბინეტებში. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა ხარვეზების აღმოფხვრა.
- 4.9. 2019 წლის 24 ივნისის №MIA21901632302 წერილით შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს აცნობა, რომ 2019 წლის 23 ივნისს გასკდა მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებული ონკანი, რის გამოც დაიტბორა მესამე სართული, ასევე პირველი და მეორე სართულების მნიშვნელოვანი ნაწილი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ მოითხოვა ხარვეზების აღმოფხვრა.
- 4.10. შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არ აღმოფხვრა შესრულებულ სამუშაოებში აღმოჩენილი ხარვეზები.

#### სამოტივაციო ნაწილი

#### 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „არტგრუპი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

#### 6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

#### 7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/

მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2018 წლის 9 ივლისის № ს/21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „არტგრუპი“ (ს/ნ: 444959181) 2019 წლის 14 მაისსა და 19 ივნისს დარეგისტრირდა შავ სიაში SPA180008251 და NAT190000360 ელექტრონული ტენდერების საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/ არაჯეროვანი შესრულების გამო.


7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის შავ სიაში მანამდე არსებული რეგისტრაციის ფაქტების გათვალისწინებით, შპს „არტგრუპი“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

- 1. შპს „არტგრუპი“ (ს/ნ: 444959181) 2019 წლის 10 ივლისს დარეგისტრირდეს შავ სიაში.
- 2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
- 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელემენტოვნულად  ლევან რაზმაძე